

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ოქმი №5

2018 წლის 15 თებერვალი, 15:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: კარლო ჯამბურია-საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის);

საკრებულოს წევრები: გ. კობახიძე, ო. მირზოშვილი;

ლაგოდეხი-ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი- ა. გოგოლაძე;

-1-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ გაუქმების შესახებ.

/მომხს: გ.დარბაიძე/

გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე მოსასმენად.

/კომისიის დასკვნა თან ერთვის/

-2-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N57 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე;

/მომხს: ვ.სარალიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -8, წინააღმდეგი-0)

გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

-3-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

/მომხს: ვ. სარალიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -8, წინააღმდეგი-0)

გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

საკრებულოს წევრმა გიორგი ენუქიძემ, რომელიც შემოვიდა სხდომაზე, გააპროტესტა ბიუროს სხდომაზე საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეების მოადგილეების დასწრება და კენჭისყრაში მონაწილეობა, ბრალი დასდო ბიუროს, სხდომის გაყალბებაში და განაცხადა, რომ დავას სასამართლოში გააგრძელებს.

მოისმინეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხს: გ.დარბაიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -8, წინააღმდეგი-0) გადაწყვიტეს:
მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხს: გ.დარბაიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -8, წინააღმდეგი-0) გადაწყვიტეს:
მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №36 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.
/მომხს: გ.დარბაიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -8, წინააღმდეგი-0) გადაწყვიტეს:
მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია